აკაკი დვალი
დამოუკიდებელი მკვლევარი, ნიუ-იორკი, აშშ
akaki.dvali@un.int

კონფლიქტის „ორი სახელმწიფოს პრინციპით“ მოგვარების პერსპექტივები ახლო აღმოსავლეთში: ისტორიული კონტექსტი და ახალი რეალობა

რეზიუმე

2023 წლის 7 ოქტომბერს ისრაელის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული თავდასხმა იქცა ახლო აღმოსავლეთში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური კონფლიქტის დაწყების საბაბად, რამაც ერთი შეხედვით რეგიონში მშვიდობა კიდევ უფრო მიუღწეველი გახადა. თუმცა, კონფლიქტის დასრულების შემდეგ შესაძლებელია გაჩნდეს ახალი შანსები და შესაძლებლობები სამშვიდობო პროცესის განსაახლებლად. ნაშრომი განიხილავს ახლო აღმოსავლეთის ხანგრძლივი კონფლიქტის „ორი სახელმწიფოს პრინციპით“ გადაჭრის (ე.წ. two-state solution) იდეის შექმნისა და მისი ევოლუციის ისტორიულ კონტექსტს. ეს პრინციპი ათწლეულების განმავლობაში საფუძვლად დაედო ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე სამშვიდობო პროცესს და ის ასოცირდება რამდენიმე მნიშვნელოვან მიღწევასთან. თუმცა, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში გამოიკვეთა სამშვიდობო პროცესის ორი მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი, რამაც მნიშვნელოვნად შეასუსტა სამშვიდობო პროცესის პერსპექტივები. ამ ორი ფაქტორიდან ერთ-ერთია გასამხედროებული ტერორისტული ორგანიზაცია ჰამასის აღზევება პალესტინის ღაზას სექტორში. ხოლო მეორე ფაქტორს წარმოადგენს ისრაელის პრემიერ მინისტრის, ბენიამინ ნეთანიაჰუს ხელმძღვანელობით ულტრა-მემარჯვენე კონსერვატული მთავრობის მმართველობა ისრაელში, რომელიც პირდაპირ უარყოფს კონფლიქტის ორი სახელმწიფოს პრინციპით მოგვარებას. დასკვნით ნაწილში ნაშრომი განიხილავს სამშვიდობო პროცესის განახლების შესაძლებლობას პოსტ-კონფლიქტურ პერიოდში, აღნიშნული ორი ხელისშემშლელი ფაქტორის აღმოფხვრის და სხვა ნაკლებად გავლენიან ფაქტორებზე რეაგირების შემთხვევაში. თუ ეს პირობები დაკმაყოფილდება, ორი სახელმწიფოს პრინციპით კონფლიქტის გადაჭრა შესაძლოა იქცეს რეალობად, მითუმეტეს იმ ვითარებაში, როდესაც ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოგვარება საერთაშორისო თანამეგობრობის დღის წესრიგის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია.

საკვანძო სიტყვები: პალესტინა, ღაზას სექტორი, ისრაელი, ჰამასი, ფათჰი.

შესავალი

2023 წლის 7 ოქტომბერს პალესტინის გასამხედროებული ორგანიზაცია ჰამასის მიერ ისრაელის წინააღმდეგ განხორციელებულმა საზარელმა ტერაქტმა შეძრა მსოფლიო. ეს იყო ისრაელის წინააღმდეგ ყველაზე მასშტაბური ტერაქტი ათწლეულების განმავლობაში. ტერაქტს ემსხვერპლა 1,200 ისრაელელი სამოქალაქო პირი, დაიჭრა ბევრად მეტი ადამიანი, ხოლო 240 სამოქალაქო პირი ჰამასმა მძევლად აიყვანა. ჰამასის ტერორისტულმა აქტმა ახლო აღმოსავლეთის უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დამანგრეველი კონფლიქტის პროვოცირება მოახდინა (Frankel 2024). ისრაელმა ტერორისტულ აქტს უპასუხა მასშტაბური სამ-

ხედრო ოპერაციით ჰამასის მიერ კონტროლირებად ღაზას სექტორში, რამაც გამოიწვია განსაკუთრებულად დიდი მსხვერპლი პალესტინელ სამოქალაქო პირებს შორის. თავის მხრივ, ისრაელის სამხედრო ოპერაციას მოჰყვა დიდი საერთაშორისო წნეხი ისრაელის მიმართ, მათ შორის ისრაელის პარტნიორების მხრიდან, რომლებიც აკრიტიკებდნენ ისრაელის სამხედრო ოპერაციის ტაქტიკას, სამოქალაქო პირებს შორის დიდი მსხვერპლის გამო.

7 ოქტომბრის ტერორისტულ აქტზე საპასუხოდ, ისრაელმა მიიღო ჰამასის განადგურების და ღაზაში მისი მრავალწლიანი მმართველობის დასრულების მტკიცე გადაწყვეტილება. ისრაელის პრემიერ მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ ჰამასის განადგურება დაასახელა ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის მიღწევის მთავარ წინაპირპობად (Fortinsky 2023).

ჰამასის მმართველობის დასრულება ღაზაში მართლაც არის მშვიდობის მიღწევის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი. თუმცა, ნეთანიაჰუ არ აღიარებს ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის მიღწევის სხვა ხელისშემშლელ ფაქტორებს, მაგალითად ისრაელის მიერ პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ებრაული დასახლებების მშენებლობას. ნეთანიაჰუ, რომელიც ისრაელის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი პრემიერ მინისტრია, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოგვარებას ხედავს განსხვავებულად, ვიდრე საერთაშორისო თანამეგობრობის უმრავლესობა, მათ შორის ისრაელის მთავარი სტრატეგიული პარტნიორი - აშშ. ნეთანიაჰუს შეხედულებით, მშვიდობა ახლო აღოსავლეთში შესაძლოა მიღწეულ იქნას პალესტინის ტერიტორიების დერადიკალიზაციის და დემილიტარიზაციის გზით, პალესტინისთვის სუვერენული ქვეყნის სტატუსის მინიჭების გარეშე. თუმცა, დანარჩენი მსოფლიო ახლო აღმოსავლეთში მდგრადი მშვიდობის მიღწევის პერსპექტივას ხედავს კონფლიქტის მოგვარებაში მხოლოდ „ორი სახელმწიფოს პრინციპით“ (two-state solution), სადაც ორი სუვერენული სახელმწიფო - ისრაელი და პალესტინა - მშვიდობიანად თანაარსებობენ ერთმანეთის გვერდიგვერდ.

კონფლიქტის მოგვარება ორი სახელმწიფოს პრინციპით

ორი სახელმწიფოს პრინციპით კონფლიქტის მოგვარების იდეა სათავეს იღებს გაეროს გენერალური ასამბლეის 1947 წლის გადაწყვეტილებიდან. კერძოდ, გაერთიანებული სამეფოს მოთხოვნით, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია № 181, რომელმაც შეწყვიტა ბრიტანეთის მანდატი პალესტინაში და ტერიტორია ორ სახელმწიფოდ გაყო: არაბული სახელმწიფო (დღევანდელი პალესტინა) და ებრაული სახელმწიფო. ამასთან, რეზოლუციამ მოახდინა ქალაქ იერუსალიმის ინტერნაციონალიზაცია, და ის მოაქცია სპეციალური საერთაშორისო რეჟიმის ქვეშ, რომლის ადმინისტრირება გაეროს უნდა განეხორციელებინა (UNISPAL, History of the Question of Palestine). გაეროს გაყოფის გეგმა უარყვეს როგორც პალესტინელმა არაბებმა, ისე მოსაზღვრე არაბულმა ქვეყნებმა, რომლებიც პალესტინის მთელს ტერიტორიას არაბულ მიწად მიიჩნევდნენ. ამ მომენტიდან მოყოლებული, გაეროს გაყოფის გეგმამ ვერცერთ ეტაპზე ვერ იმუშავა. პირიქით, გეგმის დამტკიცების შემდეგ ახლო აღმოსავლეთმა ორი გადამწყვეტი ომი გამოიარა ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის (1948-1949 და 1967 წლებში), სხვა ნაკლებ ინტენსიურ კონფლიქტებთან ერთად, რამაც მშვიდობის მიღწევის პერსპექტივა სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.

ამ ორ ომში მონაწილეობდნენ ერთი მხრივ ისრაელი და მეორე მხრივ ყველა არაბული ქვეყანა სამეზობლოში - ეგვიპტე, იორდანია, სირია, ლიბანი და ერაყი. 1948-1949 ომი მოჰყვა ისრაელის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ამ ომის შედეგად ისრაელმა მოახერხა როგორც კონტროლის გაძლიერება გაეროს მიერ მისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, ისე არაბული სახელმწიფოსთვის გამოყოფილი ტერიტორიის გარკვეული ნაწილის მითვისება. ამასთან, არაბული სახელმწიფოს ტერიტორიის ძირითადი ნაწილი შეიერთეს იორდანიამ და ეგვიპტემ (დასავლეთ ნაპირი და ღაზას სექტორი, შესაბამისად). მეორე გადამწყვეტ ომს ადგილი ჰქონდა 1967 წელს, რომლის შედეგად ისრაელმა მოახდინა პალესტინის მთელი ტერი-

ტორიის ოკუპაცია, დასავლეთ ნაპირისა და ღაზას ჩათვლით. ამასთან, ისრაელმა მოახერხა სირიის გოლანის მაღლობების და ეგვიპტის სინას ნახევარკუნძულის ოკუპაცია.

მიუხედავად მოვლენების ამგვარი განვითარებისა, ორი სახელმწიფოს პრინციპით კონფლიქტის გადაჭრის იდეა არ გამქრალა საერთაშორისო თანამეგობრობის დღის წესრიგიდან. 1967 წლის შემდგომ ეს პრინციპები პირველად გამოჩნდა კემპ დევიდის შეთანხმებებში, რომლებიც გაფორმდა ისრაელსა და ეგვიპტეს შორის აშშ-ს შუამავლობით. კემპ დევიდის შეთანხმებები მოიცავდა ორ ჩარჩო ხელშეკრულებას. პირველი გულისხმობდა ისრაელის ჯარების გაყვანას 1967 წელს ოკუპირებული სინას ნახევარკუნძლიდან. მეორე ხელშეკრულება კი გულისხმობდა სამართლებრივი ჩარჩოს შექმნას, რათა ისრაელს, ეგვიპტეს, იორდანიას და პალესტინას შორის დაწყებულიყო მოლაპარაკებები. მიზანი ამ მოლაპარაკებებისა უნდა ყოფილიყო პალესტინის ტერიტორიებზე (დასავლეთ ნაპირსა და ღაზაში) გარდამავალი პერიოდის თვითმმართველი ადმინისტრაციის შექმნა, იმ გათვლით, რომ მოგვიანებით წარიმართებოდა მოლაპარაკებები ამ ტერიტორიების საბოლოო სტატუსის თაობაზე (The Camp David Accords 1978).

კემპ დევიდის შეთანხმებებმა საფუძველი ჩაუყარა მშვიდობას ისრაელსა და ეგვიპტეს შორის, რასაც მოჰყვა ამ ქვეყნების მიერ სრულყოფილი სამშვიდობო შეთანხმების გაფორმება 1979 წელს (Treaty of Peace Between the Arab Republic of Egypt and the State of Israel 1979). თუმცა, კემპ დევიდის შეთანხმებებმა ვერ გადაწყვიტა პალესტინის საკითხი, ვინაიდან სხვა არაბულმა ქვეყნებმა არ გაიზიარეს ეგვიპტის ცალმხრივი მცდელობები. ამ ფონზე კონფრონტაცია ეგვიპტესა და სხვა არაბულ ქვეყნებს შორის იქამდე მივიდა, რომ ეგვიპტე გარიცხეს არაბული ქვეყნების ლიგიდან, სადაც მან დაბრუნება მხოლოდ 10 წლის შემდეგ მოახერხა (Telhami 2001, 32).

ორი სახელმწიფოს პრინციპით კონფლიქტის გადაჭრის იდეა, რაც ასახული იყო კემპ დევიდის შეთანხმებებში, მოგვიანებით გაჩნდა ოსლოს შეთანხმებებში (Oslo Accords), რომელიც აშშ-ს შუამავლობით ორ ეტაპად გაფორმდა ისრაელსა და პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციას შორის (Palestinian Liberation Organization – PLO) [1].

ოსლოს შეთანხმებები შეგვიძლია მივიჩნიოთ ერთგვარ გარღვევად ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესში, ვინაიდან მათ ფარგლებში პირველად შეიქმნა პალესტინის დემოკრატიულად არჩეული თვითმმართველი დროებითი ადმინისტრაცია (Palestinian Authority) პალესტინის ტერიტორიებზე, დასავლეთ ნაპირსა და ღაზაში. ოსლოს შეთანხმებებმა ასევე ბიძგი მისცა მოლაპარაკეკების დაწყებას სტატუსის შესახებ კონფლიქტის გრძელვადიანი მოგვარებისთვის. ოსლოს შეთანხმებებით, ისტორიაში პირველად, PLO-მ და ისრაელმა აღიარეს ერთმანეთის პოლიტიკური უფლებები და შეთანხმდნენ, რომ მიღწეული უნდა ყოფილიყო გრძელვადიანი მშვიდობა და ისტორიული შერიგება (Oslo I 1993; Oslo II 1995). საბოლოოდ ამ შეთანხმებებმა ვერ მიაღწია განზრახულ შედეგს გრძელვადიანი და სრულყოფილი მშვიდობის მიღწევის თვალსაზრისით, ვინაიდან ორივე მხრიდან იყო რადიკალური ჯგუფების მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა ამ შეთანხმებების მიმართ. თუმცა, ოსლოს შეთანხმებებით მოხერხდა ორი სახელმწიფოს პრინციპით კონფლიქტის მოგვარებისთვის მყარი ფუნდამენტის შექმნა, რაც დღესაც წარმოადგენს საფუძველს ნებისმიერი მომავალი სამშვიდობო პროცესებისთვის.

[1] პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია (PLO) არის პალესტინის ნაციონალისტური ორგანიზაციების კოალიცია. PLO დაფუძნდა 1964 წელს და მისი მთავარი მიზანი იყო პალესტინის ტერიტორიის გათავისუფლება შეიარაღებული წინააღმდეგობის გზით. თუმცა, 1993 წლიდან PLO-ს მიზანია ორი სახელმწიფოს პრინციპით კონფლიქტის გადაჭრა, რაც მოიცავს ისრაელთან მოლაპარაკებების წარმოებას. დღეისათვის PLO აღიარებულია პალესტინელი ხალხის წარმომადგენლად.

ფრაზა „კონფლიქტის გადაჭრა ორი სახელმწიფოს პრინციპით“ გაეროს დოკუმენტებში პირველად გამოჩნდა 2003 წელს ე.წ. ახლო აღმოსავლეთის კვარტეტის მიერ „საგზაო რუქის“ პრეზენტაციის ფარგლებში (UNISPAL, Quartet Roadmap)[2].

ორი სახელმწიფოს პრინციპით კონფლიქტის გადაჭრას აქვს უზარმაზარი მხარდაჭერა საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან. კერძოდ, გაეროს წევრი ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა მტკიცედ უჭერს მხარს ისრაელის გვერდით სუვერენული პალესტინის შექმნას. უნდა აღნიშნოს, რომ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოგვარება საერთაშორისო თანამეგობრობის დღის წესრიგშია ისრაელისა და არაბული ქვეყნების პირველი ომიდან მოყოლებული. თუმცა, გაეროს გენერალური ასამბლეის პირველი რეზოლუცია, რომელიც პირდაპირ ითხოვს პალესტინელთა განუყოფელ თვითგამორკვევის, ეროვნული დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის უფლებას, მიღებულ იქნა 1974 წელს (UNISPAL, Official Records of the UNGA Plenary Meeting of November 22, 1974, 4). მას შემდეგ „პალესტინის საკითხი“ მუდმივად არის გაეროს გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში და ყოველ წელს გენერალური ასამბლეა იღებს მრავალ რეზოლუციას პალესტინის თაობაზე, რომლებსაც აქვს გაეროს წევრი ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერა. ყველა ეს რეზოლუცია ერთმნიშვნელოვნად უჭერს მხარს კონფლიქტის მოგვარებას ორი სახელმწიფოს პრინციპით.

ორი სახელმწიფოს პრინციპით კონფლიქტის მოგვარების მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორები

არსებობს ორი მთავარი ფაქტორი, რომლებიც ხელს უშლის ორი სახელმწიფოს პრინციპით კონფლიქტის გადაჭრას. პირველი ფაქტორი არის ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაცია ჰამასი, რომელიც ფლობს ძალაუფლებას ღაზაში. მეორე ხელისშემშლელი ფაქტორია ისრაელის ულტრა-მემარჯვენე მთავრობა ისრაელში, რომელიც უარყობს სუვერენული პალესტინის შექმნას, როგორც მშვიდობის მიღწევის საშუალებას და აგრძელებს უკანონო ებრაული დასახლებების მშენებლობას ოკუპირებულ პალესტინის ტერიტორიებზე, მიუხედავად საერთაშორისო თანამეგობრობის ძლიერი წინააღმდეგობისა.

1. ჰამასი

ოსლოს შეთანხმებების თანახმად, პალესტინის ადმინისტრაცია აკონტროლებს ორ ტერიტორიას, დასავლეთ ნაპირს და ღაზას სექტორს, რომლებსაც არ აქვთ სახმელეთო კავშირი ერთმანეთთან. პალესტინის ადმინისტრაციის შექმნისთანავე (1993 წელს), ორივე ამ ტერიტორიას აკონტროლებდა პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის დომინანტური პოლიტიკური პარტია „ფათჰი“, იასერ არაფატის ხელმძღვანელობით. ფათჰი არის პალესტინური სეკულარული პოლიტიკური ჯგუფი, რომლის მიზანია პალესტინის სახელმწიფოს შექმნა 1967 წლის ომამდე არსებულ საზღვრებში. ამასთან, ფათჰი აღიარებს ისრაელის არსებობის უფლებას და უარს ამბობს შეიარაღებულ დაპირისპირებაზე. თუმცა, ძალაუფლების ხელში აღებისთანავე, პალესტინის ადმინისტრაცია დადგა მუდმივი გამოწვევის წინაშე ისლამისტური მოძრაობა ჰამასის მხრიდან. ჰამასი უარყოფს ოსლოს შეთანხმებას და პალესტინის „განთავისუფლება“ სურს მხოლოდ შეიარაღებული წინააღმდეგობის გზით (Al-Tahhan 2017). ჰამასი ყოველთვის იყო კონტროვერსიული ორგანიზაცია, თუმცა საერთაშორისო თანამეგობრობის უმრავლესობა არ აღიარებდა მას კლასიკურ ტერორისტულ ორგანიზაციად, მაგალითად როგორიც არის ალ-ქაიდა. ზოგიერთი სახელმწიფო, მათ შორის კატარი და თურქეთი, ღია მხარდაჭერასაც კი უცხადებდა ჰამასს წლების განმავლობაში. ჰამასს ტერორისტულ ორგანიზაცი-

[2] ახლო აღოსავლეთის კვარტეტი, რომელიც მოიცავს გაეროს, აშშ-ს, ევროკავშირს და რუსეთს, შეიქმნა 2002 წელს ისრაელ-პალესტინის სამშვიდობო პროცესში შუამდგომლობისთვის.

ად მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა აღიარებს, ხოლო ზოგიერთი ქვეყანა ტერორისტულ ორგანიზაციად მხოლოდ ჰამასის სამხედრო ფრთას მიიჩნევს.

პალესტინის ადმინისტრაციის შექმნისთანავე, ჰამასმა დაიწყო ტერორისტული აქტების მოწყობა ისრაელსა და პალესტინის ტერიტორიებზე. ფათჰს და ჰამასს ერთმანეთთან რამდენიმე შეიარაღებული კონფლიქტიც ჰქონდათ. თუმცა, იყო პერიოდები, როდესაც ეს ორი ორგანიზაცია თანამშრომლობდნენ, განსაკუთრებით, 2000 წელს პალესტინელების აჯანყების (ე.წ. მეორე ინთიფადა) დროს.

დაპირისპირება ამ ორ ჯგუფს შორის გამძაფრდა 2004 წელს, მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა პალესტინის დიდი ხნის ლიდერი და ფათჰის ხელმძღვანელი, იასერ არაფატი. ამასთან, რაც დრო გადიოდა, ფათჰის რეიტინგი პალესტინელებს შორის მცირდებოდა, კორუფციის, ნეპოტიზმის და სხვა უკმაყოფილების გამო, მაშინ როდესაც, ჰამასი, როგორც ოპოზიციური ჯგუფი, იკრებდა მხარდაჭერას (Schanzer 2003). გადამწყვეტი მომენტი აღმოჩნდა პალესტინაში 2006 წლის საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები, რომელიც ჩაატარა პალესტინის ადმინისტრაციამ, ისრაელის მიერ 2005 წელს ღაზადან უსაფრთხოების ძალების და ებრაული დასახლებების ცალმხრივად და სრულად გაყვანის შემდგომ.

ყველასთვის მოულოდნელად, 2006 წლის საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში ჰამასმა მოიპოვა უმრავლესობა (74 მანდატი 132-დან) პალესტინის საკანონმდებლო საბჭოში (Tharoor 2023). ის რეალობა, რომ ჰამასს უნდა ეხელმძღვანელა პალესტინის ადმინისტრაციისთვის, სრულიად მიუღებელი იყო როგორც ისრაელისთვის, ისე ფათჰისთვის, და ასევე საერთაშორისო თანამეგობრობის უმრავლესობისთვის. შესაბამისად, პალესტინის ტერიტორიებზე დაიწყო ქაოსი, რაც მოიცავდა პერიოდულ შეტაკებებს ფათჰსა და ჰამასს შორის, დაპატიმრებებს ისრაელის მხრიდან და მკაცრ საერთაშორისო სანქციებს. 2007 წლის მარტში ფათჰმა და ჰამასმა შეძლეს შეთანხმება ეროვნული თანხმობის მთავრობაზე, თუმცა ეს შეთანხმება მხოლოდ 2007 წლის ივნისამდე გაგრძელდა, როდესაც განახლდა კონფლიქტი ამ ორ ჯგუფს შორის და ჰამასმა ძალის გამოყენებით კონტროლი დაამყარა ღაზას სექტორის მთელს ტერიტორიაზე. მას შემდეგ, ჰამასი აკონტროლებს ღაზას, ხოლო ფათჰი აკონტროლებს დასავლეთ ნაპირს.

ახლო აღმოსავლეთში უკანასკნელი ომი, რომელიც მოჰყვა ჰამასის 2023 წლის 7 ოქტომბრის ტერორისტულ აქტს ისრაელის წინააღმდეგ, არის ერთ-ერთი ყველაზე ფართომასშტაბიანი ომი ახლო აღმოსავლეთში. თუმცა, წინა დიდი ომებისგან განსხვავებით, ეს არის კონფლიქტი მხოლოდ ისრაელს და ჰამასს შორის, სხვა არაბული ქვეყნების ჩარევის გარეშე. უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით, რამდენიმე არაბული ქვეყანა აღიარებს ისრაელს. ისინი მხარს უჭერენ პალესტინის სახელმწიფოს შექმნას 1967 წლის ომამდე არსებულ საზღვრებში, მაგრამ აღარ აქვთ ინტერესი, რომ სამხედრო დაპირისპირებაში ჩაებან ისრაელთან პალესტინის გამო. განსაკუთრებით ეს ეხებათ ისრაელის მოსაზღვრე ეგვიპტეს და იორდანიას, რომლებიც ისრაელის მთავარ მტრებად მოიაზრებოდნენ ისრაელის და არაბული ქვეყნების პირველივე კონფლიქტიდან (1948-1949 წლებში), თუმცა მოგვიანებით ორივემ დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები ისრაელთან, 1979 და 1994 წლებში შესაბამისად.

დღეისათვის, ჯამში 5 არაბული ქვეყანა ოფიციალურად აღიარებს ისრაელს და აქვს მასთან დიპლომატიური ურთიერთობები. ეგვიპტის და იორდანიის გარდა, 2020 წელს კიდევ სამმა არაბულმა სახელმწიფომ - არაბთა გაერთიანებული საემიროები, ბაჰრეინი და მაროკო - დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები ისრაელთან, აშშ-ს შუამდგომლობით (Duggal 2023). ასევე იყო ისრაელსა და საუდის არაბეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზების მნიშვნელოვანი მცდელობები, თუმცა, ამ დრომდე უშედეგოდ. ამის მთავარი პრობლემა იყო საუდის არაბეთის მიერ წამოყენებული წინაპირობა, რომ ჯერ უნდა გადაწყდეს პალესტინის საკითხი, პალესტინის სახელმწიფოს შექმნის გზით (Kurtzer-Ellenbogen et al. 2023). ისრაელსა და ჰამასს შორის დაწყებული კონფლიქტის შემდეგ, საუდის არაბეთსა და ისრაელს შორის დიპლომატიური ურთიერთობები ახლო მომავალში კიდევ უფრო არარეალისტურად გამოი-

ყურება, როგორც მინიმუმ მანამდე, სანამ ორი სახელმწიფოს პრინციპით კონფლიქტის გადაჭრის სამშვიდობო პროცესი არ განახლდება.

არაბულ სამყაროში ჰამასის პოზიციები არ არის მყარი. პირიქით, წამყვანი არაბული ქვეყნების მმართველი ელიტები ჰამასს ყოველთვის დიდ საფრთხედ მიიჩნევდნენ. ამის ძირითადი მიზეზი არის ჰამასის წარმომავლობა, რომელიც 1987 წელს დაფუძნდა როგორც „მუსლიმი ძმების" ფილიალი პალესტინაში (Robinson 2024). თავის მხრივ, მუსლიმი ძმები წარმოადგენს ისლამისტურ ორგანიზაციას, რომელიც დაარსდა და ყველაზე დიდ წარმომადგენლობას ფლობს ეგვიპტეში, თუმცა მისი იდეოლოგია გავრცელებულია მთლიანად არაბულ სამყაროში. მუსლიმი ძმები კანონგარეშედ ცხადდებოდა და იდევნებოდა რიგი არაბული ქვეყნების მთავრობების მიერ. გასული ათწლეულების განმავლობაში, სხვადასხვა პერიოდში მუსლიმ ძმებს კანონგარეშედ აცხადებდნენ ეგვიპტე, სირია, იორდანია, საუდის არაბეთი და არაბთა გაერთიანებული საემიროები. აღსანიშნავია, რომ 2017-2021 წლებში კატარსა და რამდენიმე არაბულ ქვეყანას შორის (საუდის არაბეთი, ეგვიპტე, ბაჰრეინი და საამიროები) ცნობილი დიპლომატიური კონფრონტაციის მთავარი მიზეზი იყო სწორედ კატარის კარგი ურთიერთობები მუსლიმ ძმებთან (Trager 2017).

მაშინ როდესაც არაბული ქვეყნების უმრავლესობას ჰამასთან არ გააჩნია მეგობრული ურთიერთობები, ამ ორგანიზაციას მხარს უჭერს ირანი. მიუხედავად მნიშვნელოვანი იდეოლოგიური განსხვავებისა შიიტური ისლამის მიმდევარ ირანსა და სუნიტურ ჰამასს შორის, ირანის ეს მხარდაჭერა ძირითადად განპირობებულია გეოპოლიტიკური მიზეზებით. კერძოდ, ირანის ჰამასისადმი მხარდაჭერის მთავარი მოტივაცია არის ისრაელისთვის პრობლემების შექმნა, რომელსაც ირანი მის მთავარ რეგიონულ მტრად განიხილავს. ამასთან, ჰამასის მხარდაჭერით ირანი შესაძლოა ცდილობდეს რეგიონში საუდის არაბეთის გავლენას დასუსტებასაც, ირან-საუდის არაბეთის ათწლეულების განმავლობაში არსებული მეტოქეობის გათვალისწინებით (Marcus 2019).

2. ნეთანიაჰუს ულტრა მემარჯვენე მთავრობა ისრაელში

ორი სახელმწიფოს პრინციპით კონფლიქტის გადაჭრისთვის მეორე მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი არის ისრაელის ულტრა მემარჯვენე, კონსერვატული მთავრობა, რომელიც უაყოფს სუვერენული პალესტინის სახელმწიფოს შექმნას, როგორც მინიმუმ ახლო მომავალში. ნეთანიაჰუ თვლის, რომ სუვერენული პალესტინა საფრთხეს უქმნის ისრაელის უსაფრთხოებას (Salman et al. 2024).

გასული ათწლეულების განმავლობაში, ისრაელის საზოგადოება და პოლიტიკური კლასი გადაიხარა კონსერვატიზმისკენ (Kaplan and Klein 2020). შესაბამისად, აღნიშნულ პერიოდში ისრაელის მთავრობაში დომინირებდნენ კონსერვატული პოლიტიკური პარტიები. 2009 წლიდან მოყოლებული, პრემიერ მინისტრის პოსტს იკავებს ისრაელში ყველაზე ხანგრძლივად მოღვაწე პოლიტიკოსი, ულტრა მემარჯვენე ბენიამინ ნეთანიაჰუ, 2021-2022 წლებში მცირე პერიოდის გამოკლებით. უფრო მეტიც, ნეთანიაჰუს უკანასკნელი მთავრობა, რომელიც 2022 წლიდან დაკომპლექტდა, ითვლება ისრაელის ისტორიაში ყველაზე ულტრა მემარჯვენე კოალიციად. ნეთანიაჰუს ლიკუდის პარტიასთან ერთად, მმართველი კოალიცია შედგება რადიკალური რელიგიური ნაციონალისტური პარტიებისგან - რელიგიური სიონისტური პარტია, გაერთიანებული თორას იუდაიზმი და შასი (Holmes 2023). 2022 წლის თებერვალში ისრაელის ახალმა მინისტრთა კაბინეტმა გამოაცხადა ოკუპირებულ დასავლეთ ნაპირზე ახალი ებრაული დასახლებების მშენებლობის შესახებ (Williams 2022). ებრაული დასახლებები წარმოადგენს მთავარ გამოწვევას საერთაშორისო თანამეგობრობისთვის. მათი არსებობა ძირს უთხრის ყველა საერთაშორისო ძალისხმევას ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის მისაღწევად და რისკის წინაშე აყენებს ორი სახელმწიფოს პრინციპით კონფლიქტის მოგვარებას.

2024 წლის თებერვალში ნეთანიაჰუმ გაამჟღავნა თავისი გეგმა ღაზასთან მიმართებაში პოსტ-ჰამასის პერიოდში. გეგმის მიხედვით ნეთანიაჰუ მიზნად ისახავს ღაზას სექტორის სრულ დემილიტარიზაციას, ეგვიპტესთან ღაზას სამხრეთ საზღვრის ჩაკეტვას, ღაზას სამოქალაქო ადმინისტრაციის რეფორმას და განათლების სისტემის დერადიკალიზაციას. გეგმის განხორციელების პროცესში ისრაელს სურს ეგვიპტესთან თანამშრომლობა, აშშ-სთან კოორდინაციით. თუმცა, ეს გეგმა მთლიანად უგულვებელჰყოფს პალესტინის სუვერენული სახელმწიფოს შექმნას (Greene and Gotkine 2024).

ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესის პერსპექტივები / შემდგომი ნაბიჯები

ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესის განახლების მიზანი შესაძლოა მიღწეულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ზემოთ განხილული 2 მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი აღარ იარსებებს: ჰამასი ჩამოშორდება ღაზას სექტორის მმართველობას; ხოლო ისრაელის ულტრა მემარჯვენე კონსერვატულ სამთავრობო კოალიციას შეცვლის უფრო ზომიერი მთავრობა.

მას შემდეგ რაც ისრაელ-ჰამასის ომი დასრულდება, ჰამასის დომინაციის გაგრძელება ღაზაში ნაკლებ რელისტურია, ვინაიდან ისრაელი ამას აღარ დაუშვებს. ომის შემდგომ ჰამასი ან საერთოდ შეწყვეტს არსებობას, ან მნიშვნელოვნად დასუსტდება. ასევე არსებობს შესაძლებლობა, რომ პოსტ-კონფლიქტურ პერიოდში ნეთანიაჰუს მთავრობაც დადგეს სერიოზული გამოწვევის წინაშე. 2024 წლის დასაწყისში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიხედვით, ისრაელის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ომის დასრულების შემდეგ არ სურს ნეთანიაჰუს ხილვა ხელისუფლების სათავეში, მიუხედავად იმისა, რომ ისრაელელთა უმრავლესობა მხარს უჭერს ღაზაში ნეთანიაჰუს სამხედრო ოპერაციის სტრატეგიას (Reuters 2024). აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 7 ოქტომბრის ტერორისტულ აქტამდეც, ისრაელი 9 თვის განმავლობაში მოცული იყო ქაოსით და ქუჩის მასობრივი პროტესტით. ამის მიზეზს წარმოადგენდა ნეთანიაჰუს სასამართლო რეფორმის განზრახვა, რომელიც სასამართლო ხელისუფლებას ართმევდა მთავრობის გადაწყვეტილებების გაუქმების ძალაუფლებას. ოპონენტები ნეთანიაჰუს ადანაშაულებდნენ დემოკრატიის დასუსტების და ქვეყანაში ავტორიტარიზმის დამყარების მცდელობაში (Berg 2023). საზოგადოებრივი აზრის კვლევების მიხედვით, ისრაელელთა უმრავლესობა მხარს არ უჭერდა ნეთანიაჰუს სასამართლო რეფორმას, რამაც მისი რეიტინგი მნიშვნელოვნად შეამცირა, ჯერ კიდევ ჰამასის ტერორისტულ თავდასხმამდე (Lubell 2023).

ნეთანიაჰუს მთავრობის შეცვლა არ ნიშნავს იმას, რომ ისრაელის ახალი, უფრო ზომიერი მთავრობა ავტომატურად გახდება ორი ქვეყნის პრინციპით კონფლიქტის მოგვარების მხარდამჭერი. ზოგადად, ისრაელის ოპოზიციის ლიდერებიც სკეპტიკურად უყურებენ ორი სახელმწიფოს პრინციპით კონფლიქტის მოგვარების გზით ახლო აღმოსავლეთში მუდმივი მშვიდობის მიღწევას. მაგალითად, ასეთი ოპოზიციური ლიდერია ნეთანიაჰუს ყველაზე რეალისტური პოტენციური შემცვლელი ბენი განცი - ეროვნული ერთობის ალიანსის ლიდერი. თუმცა, თუ ისრაელის ხელისუფლებაში უფრო ზომიერი ძალები იქნებიან, დიდმა საერთაშორისო ძალისხმევამ შესაძლოა გაზარდოს ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესის განახლების შანსები. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ერთ-ერთმა ოპოზიციის ლიდერმა, იაირ ლაპიდმა (ისრაელის ცენტრისტული „იეშ ატიდ“-ის პარტიის ლიდერი), რომელიც მოკლე ვადით ასრულებდა ისრაელის პრემიერ მინისტრის მოვალეობას 2022 წელს, პირდაპირ გამოხატა ორი ქვეყნის პრინციპით კონფლიქტის მოგვარების მხარდაჭერა. კერძოდ, 2022 წლის სექტემბერში, გაეროს გენერალური ასამბლეის მაღალი დონის სესიაზე გამოსვლისას, ლაპიდმა აღნიშნა, რომ ისრალელის მოქალაქეთა დიდი უმრავლესობა მხარს უჭერს ორი სახელმწიფოს პრინციპით კონფლიქტის მოგვარებას, და რომ თავადაც ამ მოქალაქეთა რიცხვს მიეკუთვნება (The Times of Israel 2022).

ამასთან, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რიგითმა ისრაელელებმა და პალესტინელებმა ირწმუნონ მშვიდობის მიღწევის რეალისტურობა. 2022 წელს ისრაელის და პალესტინის ორგანიზაციების მიერ ერთობლივად ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ კვლევა, რომელიც ნიდერლანდების და იაპონიის მიერ დაფინანსდა, წარმოაჩინა ორი სახელმწიფოს პრინციპით კონფლიქტის მოგვარების მხარდაჭერის კლებადი ტენდენცია. კვლევის თანახმად, როგორც ისრაელელების, ისე პალესტინელების მხოლოდ ერთი მესამედი უჭერს მხარს ორი სახელმწიფოს პრინციპით კონფლიქტის მოგვარებას, რაც არის ყველაზე დაბალი მხარდაჭერა ოსლოს პროცესის დაწყებიდან. იგივე კვლევის თანახმად, ისრაელელების 82%-ს და პალესტინელების 75%-ს სჯერავთ, რომ მეორე მხარე არასდროს აღიარებს მათი დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობას (Shikaki et al. 2023). ამის მიზეზი შესაძლოა იყოს ორივე საზოგადოების გამოფიტვა მუდმივი დაძაბულობით და პერიოდული კონფლიქტებით. ნდობა ორივე მხარეზე შესაძლოა დაბრუნდეს მხოლოდ ჭეშმარიტი სამშვიდობო პროცესის განახლებით. დღესდღეობით რთულია რაიმე პროგნოზის გაკეთება, ათწლეულების განმავლობაში არსებული კონფლიქტის ფონზე. თუმცა, რამდენიმე ფაქტორის კომბინაცია - ტერორისტული ორგანიზაცია ჰამასის დასუსტება, ნეთანიაჰუს მთავრობის შეცვლა და ძლიერი საერთაშორისო ძალისხმევა - შესაძლოა იქცეს ახალ შესაძლებლობად ახლო აღმოსავლეთში მდგრადი მშვიდობის მისაღწევად, ორი სახელმწიფოს პრინციპით კონფლიქტის მოგვარების გზით.

გამოყენებული ლიტერატურა:

Al-Tahhan, Z. 2017. "Hamas and Fatah: How are the Two Groups Different?" *Aljazeera,* October 12. https://www.aljazeera.com/features/2017/10/12/hamas-and-fatah-how-are-the-two-groups-different.

Berg, R. 2023. "Israel Judicial Reform Explained: What is the Crisis About?" *BBC,* September 11. https://www.bbc.com/news/world-middle-east-65086871.

Duggal, H. 2023. "Map: Which MENA Countries have Diplomatic Ties with Israel?" *Aljazeera,* September 15. https://www.aljazeera.com/news/2023/9/15/map-which-mena-countries-have-diplomatic-ties-with-israel.

Fortinsky, S. 2023. "Netanyahu Outlines 3 Prerequisites for Peace in Op-ed." *The Hill,* December 26. https://www.yahoo.com/news/netanyahu-outlines-3-prerequisites-peace-213805723.html.

Frankel, J. 2024. "Israel's Military Campaign in Gaza Seen as Among the Most Destructive in Recent History, Experts Say." *The Associated Press,* January 11. https://apnews.com/article/israel-gaza-bombs-destruction-death-toll-scope-419488c511f83c85baea22458472a796.

Greene, R., and E. Gotkine. 2024. "Netanyahu Unveils Plan for Gaza's Future Post-Hamas." *CNN,* February 23. https://www.cnn.com/2024/02/23/middleeast/netanyahu-unveils-future-post-hamas-gaza-plan-mime-intl/index.html.

Holmes, O. 2023. "Israel's Far Right Hits Ground Running, and Ripple Effects are Already Being Felt." *The Guardian,* January 7. https://www.theguardian.com/world/2023/jan/07/israel-far-right-ultranationalist-hits-ground-running-and-ripple-effects-are-being-felt.

Kaplan, S., and Y. Klein. 2020. "The Rise of Conservatism in Israel." *American Affairs,* Volume IV, no. 3 (Fall): 205-15. https://americanaffairsjournal.org/2020/08/the-rise-of-conservatism-in-israel/.

Kurtzer-Ellenbogen L., H. Youssef, R. Barron, and A. Gallagher. 2023. "Is a Saudi-Israel Normalization Agreement on the Horizon?" United States Institute of Peace, September 28. https://www.usip.org/publications/2023/09/saudi-israel-normalization-agreement-horizon.

Lubell, M. 2023. "Israel's Netanyahu Down in Polls Over Judicial Reform." *Reuters,* July 26. https://www.reuters.com/world/middle-east/israels-netanyahu-down-polls-over-judicial-reform-2023-07-26/.

Marcus, J. 2019. "Why Saudi Arabia and Iran are Bitter Rivals." *BBC,* September 16. https://www.bbc.com/news/world-middle-east-42008809.

Oslo I Accord. 1993. "Declaration of Principles on Interim Self-Government Arrangements" (a.k.a. "Oslo Accord"). Opened for signature September 13, 1993. *United Nations, General Assembly, Security Council, Forty-eighth Session, Forty-eighth Year, Agenda Item 10, Report of the Secretary-General on the Work of the Organization,* A/48/486|S/26560, 11 October 1993: 1-18. https://www.un.org/unispal/document/auto-insert-180015/.

Oslo II Accord. 1995. "Israeli-Palestinian Interim Agreement on the West Bank and the Gaza Strip" (a.k.a. "Oslo II"). Opened for signature September 28, 1995. *United Nations, General Assembly, Security Council,* A/51/889|S/1997/357. https://www.un.org/unispal/document/auto-insert-185434/.

Reuters. 2024. "Only 15% of Israelis Want Netanyahu to Keep Job After Gaza War, Poll Finds." *Reuters,* January 2. https://www.reuters.com/world/middle-east/only-15-israelis-want-netanyahu-keep-job-after-gaza-war-poll-finds-2024-01-02/.

Robinson, K. 2024. "What is Hamas?" *Council on Foreign Relations,* October 17. https://www.cfr.org/backgrounder/what-hamas.

Salman, A., M. McCluskey, I. Dahman, S. Tanno, K. Liptak and M. Lee. 2024. "Netanyahu Again Rejects Palestinian Sovereignty Amid Fresh US Push for Two-State Solution." *CNN,* January 21. https://www.cnn.com/2024/01/21/middleeast/netanyahu-palestinian-sovereignty-two-state-solution-intl/index.html.

Schanzer, J. 2003. "The Challenge of Hamas to Fatah." *The Washington Institute for Near East Policy,* April 1. https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/challenge-hamas-fatah.

Shikaki, K., N. Rosler, A. Yakter, and D. Scheindlin. 2023. "Israeli, Palestinian Support for Two-state Solution Declines – Poll." *The Jerusalem Post,* July 29. https://www.jpost.com/arab-israeli-conflict/article-752542.

Telhami, S. 2001. *The Camp David Accords: A Case of International Bargaining.* New York: Columbia University Press. https://ciaotest.cc.columbia.edu/casestudy/tes01/.

Tharoor, I. 2023. "The Election That Led to Hamas Taking Over Gaza." *The Washington Post*, October 24. https://www.washingtonpost.com/world/2023/10/24/gaza-election-hamas-2006-palestine-israel/.

The Camp David Accords. The Framework for Peace in the Middle East. 1978. https://www.peaceau.org/uploads/camp-david-accords-egypt-1978.pdf.

The Times of Israel. 2022. "Full Text of Lapid's 2022 Speech to the UN General Assembly." September 22. https://www.timesofisrael.com/full-text-of-lapids-2022-speech-to-the-un-general-assembly/.

Trager, E. 2017. "The Muslim Brotherhood Is the Root of the Qatar Crisis." *The Atlantic,* July 2. https://www.theatlantic.com/international/archive/2017/07/muslim-brotherhood-qatar/532380/.

"Treaty of Peace Between the Arab Republic of Egypt and the State of Israel." Opened for signature March 26, 1979. *United Nations – Treaty Series,* Vol. 1136, I-17813: 116-205. https://treaties.un.org/doc/publication/unts/volume%201136/volume-1136-i-17813-english.pdf.

UNISPAL. *History of the Question of Palestine (Timeline of Events).* https://www.un.org/unispal/history/

UNISPAL. *Road Map to a Permanent Two-State Solution to the Israeli-Palestinian Conflict – Quartet.* S/2003/529, April 30, 2003. https://www.un.org/unispal/document/auto-insert-186742/.

UNISPAL. *Official Records of the UN General Assembly, Twenty-ninth Session,* 2296th Plenary Meeting, November 22, 1974: 4. https://www.un.org/unispal/wp-content/uploads/2016/05/ARES3236XXIX.pdf.

Williams, D. 2022. "Israel's Netanyahu Returns with Hard-right Cabinet Set to Expand Settlements." *Reuters,* December 29. https://www.reuters.com/world/middle-east/netanyahu-set-retake-power-head-far-right-government-2022-12-29/.